ქალაქ თბილისის საკრებულოს

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი №62

27.04.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. თედო ისაკაძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ **(12-03210576-03; 26.02.2021);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110350-03; 13.04.2021);**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და

მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110315-03; 13.04.2021);**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110315-03; 13.04.2021);**

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110313-03; 13.04.2021);**

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110313-03; 13.04.2021);**

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032109628-03; 06.04.2021);**

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110313-03; 13.04.2021);**

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110937-03; 19.04.2021);**

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110937-03; 19.04.2021);**

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110937-03; 19.04.2021);**

12. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110937-03; 19.04.2021);**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებლები:

- **ლევან მიქავა -** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულები წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-03210576-03; 26.02.2021):

გ.თალაკვაძე - წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 901,868.1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 930,239.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 103.1%-ს წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 853,437.4 ათასი ლარი, ფაქტიურად 868,463.3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 101.8% და ფაქტიური შემოსულობების 93.4%-ს შეადგნს.

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 108,746.2 ათასი ლარი (გეგმის 99.8%), მათ შორის აღსანიშნავია სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 55,000.0 ათასი ლარი ქვეპროგრამისთვის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა, ნაგავშემკრები კონტეინერების და სპეც ტექნიკის შეძენის მიზნით. ასევე გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 20,000.0 ათასი ლარი თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში ავტობუსების შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად.

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 13,025.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (11,000.0 ათასი ლარი) 118.4%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 978.9 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 43,322.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (43,000.0 ათასი ლარი) 100.8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (59,281.9 ათასი ლარი) შედარებით 15,959.2 ათასი ლარით ნაკლებია. მათ შორის შემოსავალი: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 28,473.6 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისთვის - 2,728.5 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 504.3 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 294.7 ათასი ლარი.

სუბსიდიების მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 292,291.9 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 290,416.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.4%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 35.2%-ს შეადგენს. სუბსიდიების მუხლიდან სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება როგორიცაა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 72,085.4 ათასი ლარი.

2020 წელს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გამოიყო 3,001.9 ათასი ლარი და გამოყოფილი სახსრების ათვისებამ შეადგინა 100%, მათ შორის შპს „სი-ტი პარკის“ მიერ 2018 წლის 10 აპრილამდე გამოწერილი საჯარიმო ოქმების საფუძველზე და ხელშეკრულების პირობების მიხედვით, კომპანიისთვის ასანაზღაურებელი თანხა - 8.7 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი პრიორიტეტები/ქვეპროგრამები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 281,775.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (284,606.6 ათასი ლარი) 99%-ს შეადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა მოვლა-შეკეთება (კოდი 01 01) დაფინანსდა 88,867.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის - 89,886.6 ათასი ლარის 98.9%).

- ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02) - დაფინანსდა 192,908.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 194,719.9 ათასი ლარის 99.1%). ტრანსპორტის განვითარების ფარგლებში ქვეპროგრამა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) დაფინანსდა 20,124.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (21,068.1 ათასი ლარი) 95.5%-ს შეადგენს.

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) დაფინანსდა 94,698.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (95,566.4 ათასი ლარი) 99.1%-ია.

- მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (01 02 03) დაფინანსდა 100%-ით (2020 წლის გეგმა - 6,000.0 ათასი ლარი).

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) დაფინანსდა 100%-ით (2020 წლის გეგმა - 72,085.4 ათასი ლარი).

- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) 32,684 9 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.1%-ია (2020 წლის გეგმა - 38,942 2 ათასი ლარი).

- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11). ქვეპროგრამის 2020 წლის გეგმა შეადგენდა 37,492.5 ათასი ლარს. საანგარიშო პერიოდში საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (მეტრო, M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსები) გადაყვანილია უფასო ან შეღავათიანი ტარიფით სულ 86 473 827 მგზავრი.

შ.ოგბაიძე - მისასალმებელია, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა, თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები, ტრანსპორტის განვითარების ნაწილში, მაქსიმალურად შესრულდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ **(12-03210576-03; 26.02.2021)** პროექტი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110350-03; 13.04.2021):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის ზ/ა დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესში, კერძოდ: მე-17 მუხლის პირველ პუნქტს, „ფ“ ქვეპუნქტის შემდეგ, ემატება შემდეგი შინაარსის „ფ[1]“ ქვეპუნქტი:

<u>„ფ[1]) სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსში მგზავრთა მომსახურებისას არ დაუშვას ფეხზე მდგომი მგზავრ(ებ)ის გადაყვანა;“.</u>

უნდა აღინიშნოს, რომ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობა და ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის მიერ დადგენილ მგზავრთტევადობაზე მეტი მგზავრის გადაყვანა არ განახორციელოს.

ხოლო, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ფ1“ ქვეპუნქტის მიხედვით ნებართვის მფლობელი ვალდებული გახდება დაიცვას სანებართვო პირობა და სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსში მგზავრთა მომსახურებისას ფეხზე მდგომი მგზავრ(ებ)ის გადაყვანა არ დაუშვას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში**

მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110350-03; 13.04.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110315-03; 13.04.2021):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დადგენილების სათაურის ცვლილებას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფის დამტკიცებას და ამ დადგენილებით განსაზღვრული თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისა და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტებისთვის უფასო მგზავრობის უფლების მინიჭებას.

უფრო კონკრეტულად, დადგენილების სათაური ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

<u>„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით</u>

„რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“.

პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„გ) საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი ერთი მიმართულებით დამტკიცდეს 1,0 ლარის ოდენობით;“

დადგენილების მე-2 მუხლს, მე-3 პუნქტის შემდეგ, ემატება შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი კატეგორიის პირებს მიეცეთ უფასო მგზავრობის უფლება.“

ცვლილებების შედეგად, საბაგირო გზით ,,უნივერსიტეტი - ბაგები“ უფასო მგზავრობის უფლება ენიჭებათ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ სტუდენტებს.

დადგენილებაში ცვლილებები განაპირობა იმ გარემოებამ, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ კაპიტალში შეტანილი იქნა ,,უნივერსიტეტი-ბაგების“ დამაკავშირებელი საბაგირო გზის უძრავი (ნაწილი) და მოძრავი ქონება.

ასევე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის N163 დადგენილებით საბაგირო გზით ,,უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანა განისაზღვრა საქართველოს დედაქალაქის - თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულირებად ეკონომიკურ სფეროდ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110315-03; 13.04.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110315-03; 13.04.2021):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილ დადგენილებაში ცვლილებები განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტმა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც გათვალისწინებულია საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცება.

ზ/ა გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები: დადგენილების სათაური და პრეამბულა, ასევე, პირველი მუხლი, 4^1 მუხლის პირველი პუნქტი და მე-5 მუხლის პრეამბულა ყალიბდება ახალი რედაქციით.

ასევე, მე-6, მე-8, მე-18 - 21-ე, 21^2 და 22-ე მუხლები ყალიბდება ახალი რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110315-03; 13.04.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110313-03; 13.04.2021):**

ვ.აბულაძე - დადგენილებაში ცვლილებების შეტანის საჭიროება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტობუსებისათვის ილია ჭავჭავაძის გამზირზე და გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის და ილია ვეკუას ქუჩებზე შეიცვალა მოძრაობის ორგანიზება. კერძოდ, ილია ჭავჭავაძის გამზირზე გზის შუა ნაწილში, სატრანსპორტო მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით გამოიყო სპეციალური

ზოლები. რაც შეეხება ომარ ხიზანიშვილის და ილია ვეკუას ქუჩებს, ამ ქუჩებზე საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტობუსებისათვის მოძრაობა განისაზღვრა სატრანსპორტო მოძრაობის საწინააღმდეგოდ და შესაბამისად გამოიყო სპეციალური ზოლები. განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ავტობუსის გაჩერებების ამჟამად დამისამართებული ადგილების ცვლილება, ზოგიერთის გაუქმება და ახლის განსაზღვრა, ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. გაჩერებების ზუსტი დასახელება მითითებულია დადგენილების დანართში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110313-03; 13.04.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110313-03; 13.04.2021):**

ვ.აბულაძე - დადგენილების პროექტი, შინაარსობრივად ითვალისწინებს საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტებში (დანართი 1), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში

რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტებსა (დანართი 2) და მათ განრიგში (დანართი 3) შესაბამისი კორექტივების შეტანას. კერძოდ, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული №447 მარშრუტი (ლოტი №1) იწვევს დანართ 1-ში ასახული №47 მარშრუტის გადაფარვას, ძირითადი გზასავალის სრული თანხვედრის გამო, აღნიშნულიდან გამომდინარე უქმდება №47 მარშრუტი.

გარდა ამისა, ცვლილება შედის რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსების (M_2 კატეგორია) №401, №425, №447, №509, №510, №582 მარშრუტებში. პროექტის თანახმად ხორციელდება ზოგიერთი მარშრუტის დაგრძელება, ზოგიერთ მარშრუტზე იცვლება ინტერვალები, მარშრუტზე ჩართული მინიმალური რაოდენობა და ა.შ.

ასევე, ცვლილება შედის დანართი 3-ში და ემატება ერთი სვეტი (№4), სადაც დამატებით განისაზღვრება მარშრუტის დაწყების პუნქტი.

ამავე დროს წარმოდგენილი პროექტით, დანართ 1-ის შენიშვნის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით – განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები, ემატება სხვა უფლებამოსილებაც - განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში. იგივე ცვლილება შედის დანართი 2-ის შენიშვნის პირველ პუნქტშიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110313-03; 13.04.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032109628-03; 06.04.2021):**

ვ.აბულაძე - პროექტით გათვალისწინებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილების დანართი 1-დან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები) ავტობუსების №№8,48,66,76 მარშრუტების ამოღება. აღნიშნული გამოწვეულია მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული, დანართი 2-ში ასახული ავტობუსების (M2 კატეგორია) №408 (რომელიც სრულად იმეორებს ავტობუსების (M3 კატეგორია) №8 მარშრუტს), №448 (რომელიც ანაცვლებს ავტობუსების (M3 კატეგორია) №48 მარშრუტს), №466 (რომელიც ანაცვლებს ავტობუსების (M3 კატეგორია) №66 მარშრუტს) და №429 (რომელიც სრულად იმეორებს ავტობუსების (M3 კატეგორია) №76 მარშრუტს) მარშრუტების ამოქმედებით. პროექტის ამოქმედების შემთხვევაში, მარშრუტებზე ინტერვალი მოძრავ შემადგენლობებს შორის იქნება: №408 მარშრუტის შემთხვევაში 11 წუთი (№8 მარშრუტზე ამჟამად არის 45 წთ.), №448 მარშრუტის შემთხვევაში 7 წუთი (№48 მარშრუტზე ამჟამად არის 25 წთ.), №466 მარშრუტის შემთხვევაში 5 წუთი (66 მარშრუტზე

ამჟამად არის 19 წთ.), №429 მარშრუტის შემთხვევაში 5 წუთი (№76 მარშრუტზე ამჟამად არის 30 წთ.).

ასევე, ცვლილებები შედის დანართი 1-ში შემავალი ავტობუსების (M3 კატეგორია) №№1,2,3,6,11,15,54 მარშრუტებშიც, სადაც ამოღებულ იქნა საშუალო ტევადობის ავტობუსებით მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და დარჩა მხოლოდ დიდი ტევადობის ავტობუსებით მომსახურებისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობები.

ცვლილებები შედის ავტობუსების (M3 კატეგორია) №№17,34,58,59,60,62,84,121 მარშრუტებში, სადაც საშუალო ტევადობის ავტობუსებთან ერთად გათვალისწინებული არის დიდი ტევადობის ავტობუსები, რაც გამოწვეულია მიმდინარე პერიოდში BMC მარკის ავტობუსების შემოყვანით და განსახორციელებელი ჩანაცვლებებით, რაც ასახულია დანართ 1-ში.

ამავე დროს, წარმოდგენილი პროექტით, დანართი 1-ის შენიშვნის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები, ემატება სხვა უფლებამოსილებებიც - განახორციელოს მარშრუტზე ერთი ტევადობის ავტობუსის სხვა ტევადობის ავტობუსით ჩანაცვლება და განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში. იგივე ცვლილება შედის დანართი 2-ის შენიშვნის პირველ პუნქტშიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032109628-03; 06.04.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110313-03; 13.04.2021):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„დ.დ) №№21, 39, 43, 48, 52, 99, 104, 136, 139, 187, 222 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით".

დადგენილების პროექტში ცვლილება ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტებში (დანართი 1), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტებსა (დანართი 2) და მათ განრიგში (დანართი 3) შესაბამისი კორექტივების შეტანას. კერძოდ, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული №447 მარშრუტი (ლოტი №1) იწვევს დანართ 1-ში ასახული №47 მარშრუტის გადაფარვას, ძირითადი გზასავალის სრული თანხვედრის გამო, აღნიშნულიდან გამომდინარე უქმდება №47 მარშრუტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა და დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნა №47 მარშრუტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110313-03; 13.04.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110937-03; 19.04.2021):**

ვ.აბულაძე - აღნიშნული დადგენილების პროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2020 წლის 17 ივლისის N7059-რს კანონით შესულმა ცვლილებამ.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-18 დადგენილება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134-ე–135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად, რომელიც გადაწყვეტილებებს მიიღებს დადგენილების სახით.

ინფორმაცია, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის შესახებ, საჯაროდ გამოქვეყნდება ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tbilisi.gov.ge.

ასევე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2020 წლის 17 ივლისის N7059-რს კანონით შესულმა ცვლილებამ განაპირობა და ზ/ა დადგენილებით მტკიცდება, თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან

იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრებისას, მიღებული დადგენილების/მისი გამოტანისთვის აუცილებელი წერილობითი ინფორმაციის ჩაუბარებლობის შემთხვევაში მათი ვებგვერდზე გამოქვეყნების წესი, რომლის მიხედვითაც, ადრესატთან გაგზავნილი დადგენილების და წერილობითი ინფორმაციის ჩაუბარებლობის შემთხვევაში მოხდება ხელმეორედ გაგზავნა, განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში კი შესაბამისი დოკუმენტი განთავსდება ოფიციალურ ვებგვერდზე www.Tbilisi.gov.ge, რომელიც ჩაბარებულად ჩაითვლება გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, დადგენილების ან/და ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების დროს, უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის –ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110937-03; 19.04.2021) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110937-03; 19.04.2021):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში და სააგენტოს ემატება ახალი სტრუქტურული ერთეული, ,,ვიდეოფირით ან/და ფოტოფირით დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სამსახური.“ რომლის ფუნქციებად განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-13 და მე-15 ნაწილებით და 135^1–135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება.

ამასთან, სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მონიტორინგის სამსახურს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე-135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით, 135^4 და 135^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის უფლებამოსილების გარდა ემატება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში) და 135^3 მუხლის მეორე ნაწილით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერა.

დადგენილება ამოქმედდება 2021 წლის 1 ივნისიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის –ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110937-03; 19.04.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110937-03; 19.04.2021):**

ვ.აბულაძე - თბილისის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-18 დადგენილება და მის ნაცვლად მომზადდა საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“.

ზემო აღნიშნული პროექტების შემუშავება განპირობებულია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში 2020 წლის 17 ივლისის N 7059 -რს კანონში შეტანილი ცვლილებებით.
სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დადგა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ტექნიკური ცვლილების შეტანის აუცილებლობა და დადგენილების პრეამბულა ჩაყალიბდა ახალი რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის,**

ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110937-03; 19.04.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

12. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032110937-03; 19.04.2021):**

ვ.აბულაძე - აღნიშნული ცვლილება კვლავ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან არის დაკავშირებული. რის საფუძველზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განისაზღვრა.

სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დადგა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების,

გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ტექნიკური ცვლილების შეტანის აუცილებლობა და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032110937-03; 19.04.2021).

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე